სარჩევი

საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალობა 2
კვლევის მიზანი და ამოცანები 4
ნაშრომის მეცნიერული სიახლე და კვლევის ძირითადი შედეგები 6
მეთოდოლოგია 11
კონფერენციებში მონაწილეობა 12
დისერტაციის მოკლე აღწერა 13
გამოყენებული ლიტერატურა 23

საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალობა:

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს, აფხაზეთს, დღეს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი აქვს; თუმცა რეალურად ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ. აფხაზეთი იმართება მარიონეტული დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ. მისი დამოუკიდებლობა აღიარა რუსეთმა და სხვადასხვა გარიგებების სანაცვლოდ, ნიკარაგუამ, ვენესუელამ, ნაურუმ და სირიამ. საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს, ასევე, ის ფაქტი, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი შეიძლება გაგრძელდეს, რაც ბუნებრივია სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი XIX საუკუნიდან მოყოლებული, ცდილობდა ჩამოეშორებინა საქართველოსათვის მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი - აფხაზეთი. ამისათვის იყენებდა ყველა შესაძლო მეთოდს: აფხაზეთში აღვივებდა სეპარატიზმს, სიძულვილს აფხაზებსა და ქართველებს შორის, ეწეოდა ანტიქართულ, აგრესიულ პოლიტიკას.

საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია აფხაზეთთან მიმართებაში, საქართველოს ისტორიული

წარსულის არასწორი ინტერპრეტაციით და ფალსიფიცირებით. გაყალბებული ისტორიის საფუძველზე, ლოზუნგით „აფხაზეთი - საქართველო არ არის“, XX საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა თანამედროვე აფხაზური პოლიტიკური სეპარატიზმი. გამოიცა მრავალი ტენდენციური სამეცნიერო ნაშრომი (ს. ლაკობა, ო. ბღაჟბა, თ. აჩუგბა, დ. დბარი...) სხვადასხვა ენაზე. დღემდე აქტიურად მიმდინარეობს ისტორიის ფალსიფიცირება. ამას ემატება „დიპლომატიური კორპუსის გააქტიურება“. დე-ფაქტო აფხაზური მთავრობა სხვადახვა ქვეყანაში ხსნის აფხაზურ კულტურის ცენტრს (მაგ. იტალია). შექმნილია ასოციაცია „ევროპა - აფხაზეთი“. ამ ყველაფერს გრძელვადიანი მიზანი აქვს - საბოლოოდ ჩამოშორდეს აფხაზეთი საქართველოს და იქცეს რუსეთის სივრცის სფეროდ.

კვლევის მიზანი და ამოცანები:

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ აფხაზეთი 1918-1921 წლებში; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, თუმცა ყველა მათგანი მხოლოდ ცალკეულ ასპექტებს ეხება, ჩვენი მიზანია ერთიან ჭრილში წარმოვაჩინოთ, გამოვკვეთოთ მთავარი მიმართულებები აფხაზეთის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ვითარებიდან.

ძირითადი მიზნიდან გამომდინარე გამოიკვეთა კვლევის შემდეგი ამოცანები: რა ფაქტორებმა და ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა აფხაზეთში ანტიქართული (პრორუსული, პროოსმალური) მიმდინარეობების ჩამოყალიბება, რა იყო ის საგარეო და საშინაო ფაქტორები, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას; რომელი პოლიტიკური პარტიები და ძალები არსებობდა დამოუკიდებლობის პერიოდში აფხაზეთში, საზოგადოების რომელი ჯგუფები ერეოდნენ აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რა იყო ის საკანონმდებლო ბაზა, რამაც საშუალება მისცა საქართველოს დემოკრატიულ

რესპუბლიკას გაევრცელებინა საკუთარი იურისდიქცია აფხაზეთის ტერიტორიაზე, რა ღონისძიებები გაატარა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ აფხაზეთში რელიგიური და კულტურული ცხოვრების გამოსაცოცხლებლად.

ნაშრომის მიზნისა და ამოცანებიდან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევა აიგება შემდეგი ჰიპოთეზების ირგვლივ:

1. თანამედროვე აფხაზეთი უძველესი დროიდან ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეს ეკუთვნოდა;
2. XVII-XVIII საუკუნეებში, აფხაზეთი, ორი ძირითადი იმპერიის, რუსეთისა და ოსმალეთის, ინტერესის სფეროა;
3. რუსეთის იმპერიის პოლიტიკა აფხაზეთთან მიმართებაში, გულისხმობდა რეგიონის საქართველოდან ჩამოშორებას და აფხაზი ხალხის რუსეთის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციას;

4. პროოსმალური და პრორუსული ძალები აფხაზეთში ეწეოდნენ ანტიქართულ, სეპარატისტულ საქმიანობას;
5. 1918-1921 წლებში აფხაზეთი შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ავტონომიური ერთეული; საპირისპიროს ამტკიცებს რუსული და აფხაზური ისტორიოგრაფია;
6. 1918 წელს გენერალ გიორგი მაზნიაშვილს არ მოუხდენია აფხაზეთის ანექსია; როგორც ამას ამტკიცებს აფხაზური და რუსული ისტორიოგრაფია;
7. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ მიღებული კანონების და დადგენილებების ძირითადი მიზანი იყო აფხაზეთის, როგორც ავტონომიური ერთეულის სრულყოფილი ფუნქციონირება;

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და კვლევის ძირითადი შედეგები:

საკვლევი თემის აქტუალობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ნაშრომები, ძირითადად ცალკეულ ასპექტებს ეხება;

სადისერტაციო ნაშრომში ერთიან ჭრილშია წარმოჩენილი აფხაზეთის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ვითარება 1918-1921 წლებში. ნაშრომი დაწერილია საარქივო მასალების, სამეცნიერო და მემუარული ლიტერატურის, პრესის მასალების შესწავლის საფუძველზე. სადაც ასახულია საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციის აღდგენა აფხაზეთში და მხარეში კრიზისული სიტუაციის განმუხტვა. შემოტანილია სამეცნიერო ბრუნვაში ახალი ისტორიული დოკუმენტები.

კვლევის შედეგები შემდეგია:

1. უძველესი დროიდან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია უწყვეტად ქართულ პოლიტიკურ სივრცეს ეკუთვნოდა. სხვადასხვა დროს ის შედიოდა კოლხეთის, ეგრისის, აფხაზთა სამეფოს, ერთიანი საქართველოს, იმერეთის სამეფოს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (ავტონომიური ერთეულის სტატუსით) შემადგენლობაში;

2. ვითარება შეიცვალა XVI საუკუნიდან; საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პერიოდში, რაც ნათლად გამოიხატა აფხაზეთში ისლამის გავრცელების და არაქართული ეთნიკური ელემენტების მომრავლებით. XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის მთავრები ცდილობდნენ რუსეთის მფარველობაში შესვლას, ამ შემთხვევაში ქრისტიანობა კარგი „სატყუარა "აღმოჩნდა; აფხაზეთის რუსეთში მფარველობაში შესვლას მოჰყვა აფაზეთის სამთავროს გაუქმება და უშუალოდ რუსული მმართველობის შემოღება;
3. რუსული მმართველობის შემოღებას მოჰყვა რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება; აფხაზეთიდან გადაასახლეს ისლამის მიმდევარი აფხაზები, დაიწო მხარის კოლონიზაცია, შექმნეს აფხაზური დამწერლობა, დაიწყო ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ. შოვინისტური წრეები სისტემატურად აქვეყნებდნენ პრესაში წერილებს, ავრცელებდნენ ჭორებს, თითქოს ქართველები აპირებდნენ აფხაზთა ამოწყვეტას და მათი მამულების მითვისებას. მიზანი იყო - აფხაზეთის უშუალოდ

რუსეთისათვის მიერთება და აფხაზი ხალხის ასიმილირება რუს მოსახლეობასთან.

4. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნდა აფხაზეთთან ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა, ქვეყნის ეროვნული მთლიანობის შენარჩუნება. 1918 წლის 9 თებერვლის შეთანხმებას ჰქონდა ისტორიული მნიშვნელობა, რადგან ამით საფუძველი ჩაეყარა ავტონომიური აფხაზეთის არსებობას; რომელიც შემდეგ განმტკიცდა დამატებითი ხელშეკრულებებით (1920 წლის ოქტომბერში აფხაზეთის სახალხო საბჭომ დაამტკიცა „დებულება აფხაზეთის ავტონომიური მართვის შესახებ“) და საქართველოს კონსტიტუციით; აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული, შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში;
5. 1918-1919 წლებში აფხაზეთში შეიქმნა რთული პოლიტიკური ვითარება; საჭირო გახდა აფხაზეთის დაცვა არა მარტო ბოლშევიკური რუსეთისაგან, არამედ ოსმალური დივიზიებისა და თეთრგვარდიული რუსეთისაგან; შექმნილ ვითარებაში აფხაზეთის

ეროვნულმა საბჭომ დახმარება სთხოვა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას; შესაბამისად ქართულმა საჯარისო ნაწილებმა აფხაზეთის ანექსია კი არ მოახდინეს, არამედ დაიცვეს რეგიონი გარეშე მტრისაგან;

6. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა შექმნილი მძიმე სიტუაციის მიუხედავად, ცდილობდა შეექმნა ხელსაყრელი პირობები აფხაზეთის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისათვის. იყო მცდელობა ადგილობრივი თუ უცხო ფინანსური ძალების მეშვეობით აემოქმედებინათ აფხაზეთის სამეურნეო ცხოვრების ყველა ბერკეტები. ქართული მხარე ზრუნავდა აფხაზეთის კულტურული განვითარებისთვის; მაგალითად 1919 წლის 27 თებერვალს, სოხუმში გამოვიდა პირველი აფხაზურენოვანი გაზეთი „აფსნი“. აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ასევე 1918 წელ,ს მხატვარ ალექსანდრე შარვაშიძის თაოსნობით სოხუმში გახსნილი დრამატული სასწავლებელი და 1919 წელს, სოხუმში სამასწავლებლო სემინარიასთან ლიტერატურულ-

დრამატული წრის შექმნა; ამავე პერიოდში გამოშვეულ იქნა ხელნაწერი ჟურალი „ცისკრის ვარსკვლავი“;

მეთოდოლოგია:

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია, როგორც ზოგად-მეცნიერული, ასევე კერძო მეთოდები: ისტორიულ-შედარებითი, მოვლენათა სისტემური ანალიზი, სიღრმისეული შესწავლა, სტატისტიკური, დემოგრაფიული ანალიზი, დოკუმენტური და სხვა. ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია ლოგიკური ანალიზი, წარმოდგენილა ინფორმაციულ-შემეცნებითი და შედარებით-სამართლებრივი ასპექტები. კვლევისას ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების მიზანი იყო:

1. ისტორიული ფაქტების, დოკუმენტების და მათი ინტერპრეტატორების შესახებ მიზანმიმართული, მკაფიო წარმოდგენების შექმნა, ისტორიული ფაქტების რეკონსტრუირება, არგუმენტირება;
2. ისტორიული დოკუმენტების ანალიზი; ისტორიული ფაქტების და მათი ავტორების ინტერპრეტაცია;

ისტორიული დოკუმენტების სანდოობის შეფასება; ისტორიული ცნობების, ფაქტების შედარება; საკუთარი დასკვნების ფორმულირება და შეხედულებების არგუმენტირება.

ამ მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა იმ მტკიცებულებების მოპოვება, რაც დაგვეხმარა საკვლევი ნაშრომის ჰიპოთეზების ირგვლივ მსჯელობასა და მათ დამტკიცებაში, ასევე, სათანადო დასკვნების გამოტანაში.

ნაშრომის ძირითადი დებულებები გაჟღერდა შემდეგ სამეცნიერო კონფერენციებზე:

1. „რუსეთის იმპერიის ინტერესები და მიზნები საქართველოში (XVI-XVII საუკუნეებში)“ - საქართველოს უნივერსიტეტის VIII ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში; თბილისი 2016;
2. „ქართველი მისიონერები აფხაზეთში“ - საქართველოს უნივერსიტეტის I IXყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში; თბილისი 2017;

3. „კულტურა და განათლება აფხაზეთში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს“ - პროფ. თამაზ ბერაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი X ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში; თბილისი 2018;

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:

სადისერტაციო ნაშომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომის მოცულობაა 165 გვერდი. ნაშრომს ერთვის ბიბლიოგრაფია.

დისერტაციის მოკლე აღწერა

შესავალში მოცემულია საკვლევი თემის აქტუალობა, განხილულია საკითხის ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობითი ბაზა;

ლიტერატურის მიმოხილვა:

ნაშრომი ძირითადად ემყარება, როგორც პირველად ასევე მეორად წყაროებს; (დოკუმენტები, საარქივო მასალები, პრესა, მემუარები, სამეცნიერო ლიტერატურა).

ისტორიოგრაფია: აფხაზეთის საკითხს შეეხო არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერი; მათ შორის აღსანიშნავია პ. ინგოროყვა, მ. ლორთქიფანიძე, მ. ხოშტარია-ბროსე, დ. გოგოლაძე, ჯ. გამახარია, ზ. პაპასქირი, ბ. ხორავა, დ. ჩიტაია, გ. გასვიანი, ზ. წურწუმია, ა. ჩაჩხიანი, გ. ანჩაბაძე, ე. ანდერსენი, ს. ლაკობა, ო. ბღაჟბა, თ. აჩუგბა, დ. დბარი და სხვა.

განვიხილეთ და შევისწავლეთ იმდროინდელი ქართულენოვანი და უცხოენოვანი პერიოდული გამოცემები: „ისკრა“, „ერთობა“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველო“, „სახალხო საქმე“,“ცნობის ფურცელი“, „კომუნისტი“,“ალიონი“, „Правда (Ежедневная рабочая газета)“, „Наша Слова“;

კვლევისათვის გამოვიყენეთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის იმ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა მემუარები და ჩანაწერები, რომელთაც მჭიდრო შეხება ჰქონდათ აღნიშნულ საკითხთან. აღსანიშნავია ქართველ სამხედრო პირთა მოგონებები. მაგ. გ. მაზნიაშვილი, შ. მაღლაკელიძე, ალ. ზაქარიაძე; ასევე საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურ მოღვაწეთა დ. ვაჩნაძის, გრ. ლორთქიფანიძის, რ. გაბაშვილის, ვ. ნოზაძის, ზ.

ავალიშვილის, ს. ფირცხალავას, ნ. ჟორდანიას, ამბროსი ხელაიას ნაშრომები. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ანტონ დენიკინის მემუარები - “Очерки русской смуты”; მემუარებში გადმოცემულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლა თეთრგვარდიულ რუსეთთან აფხაზეთისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის I თავში - „**აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა**“ - ნაჩვენებია თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული საზღვრების ჩამოყალიბების პროცესი; ხაზგასმულია, რომ ეს რეგიონი უძველესი დროიდან ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეს ეკუთვნოდა.

სადისერტაციო ნაშრომის II თავი - „**კავკასია დიდი იმპერიების ინტერესთა სფეროში (XVI-XVIII საუკუნეები)**“ განხილულია ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა რეგიონში; ბრძოლა პირველობისათვის და გავლენის სფეროების გაფართოება; რეგიონში ოსმალეთის გაბატონება და ისლამის გავრცელება;

სადისერტაციო ნაშრომის III თავი -**„აფხაზეთი XVIII საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში“** - ასახულია რეგიონში რუსეთის დამკვიდრების კვალდაკვალ, აფხაზეთის სამთავრო სახლში რუსულ და ოსმალურ ორიენტაციას შორის მიმდინარე ბრძოლა. აფხაზეთის მთავრები ცდილობდნენ რუსეთის მფარველობაში შესულიყვნენ, რასაც ბუნებრივია, ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთი. ფულითა და პოლიტიკური მხარდაჭერით წარმართავდა თავისი აგენტის ასლან ბეის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ. განხილულია მეტად მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ვითარება აფხაზეთში. აფხაზეთის რუსეთის მფარველობაში შესვლა და სამთავროს გაუქმება; აფხაზი მოსახლეობის ნაწილის ოსმალეთში გადასახლების პროცესი. აჯანყებები მეფის რუსეთის წინააღმდეგ და რევოლუციური გამოსვლები, მანიფესტაციები;

სადისერტაციო ნაშრომის IVთავი - **აფხაზეთი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში** მოიცავ სამ პარაგრაფს; პირველ პარაგრაფში ნაჩვენებია საერთაშორისო ვითარება XX საუკუნის პირველ მეოთხედში და წარმოჩენილია ქართული საზოგადოებრივ პოლიტიკური

ძალების დამოკიდებულებები პირველ მსოფლიო ომთან მიმართებაში. მეორე პარაგრაფში ასახულია საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა; ოსმალეთ-გერმანიის ინტერესების დაპირისპირება და ქართული დიპლომატიური კორპუსის გააქტიურება; მესამე პარაგრაფში გადმოცემულია 1914-1918 წლების ვითარება აფხაზეთში; აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები და 1918 წლის 9 თებერვლის შეთანხმება, რომელიც იყო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობების მოგვარების პირველი ეტაპი.

სადისერტაციო ნაშრომის V თავი - **აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921 წლები)**- მოიცავს ხუთ პარაგრაფს. პირველ პარაგრაფში განხილულია მეტად რთული პოლიტიკური ვითარება; საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, ოსმალეთი ცდილობდა აფხაზეთის სამხედრო ინტერვენციას. თუმცა 1918-1919 წლებში საჭირო გახდა აფხაზეთის დაცვა არა მარტო ოსმალეთისაგან, არამედ ბოლშევიკური რუსეთისა და თეთრგვარდიული რუსეთისაგან; წინააღმდეგობების მიუხედავად (სეპარატიზმი, ანტიქართული განწყობის

ზრდა..) საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოახერხეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. გარდა ამისა მნიშვნელოვანი გახლდათ 1918 წლის 11 ივნისის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული შევიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობას მხარს უჭერდა აფხაზური მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

მეორე პარაგრაფში ასახულია აფხაზეთის კონსტიტუციის შემუშავების პროცესი; მოლაპარაკებები საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის. განხილულია „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“. აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქციაში შევიდა, რაც სამართლებრივად 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით გამყარდა.

მესამე პარაგრაფში გადმოცემულია რელიგიური ვითარება აფხაზეთში; საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა,

ეკლესიის გაერთიანება და დამოუკიდებლობის შენარჩუნება ბოლშევიკური რუსეთის გაბატონების შემდეგ.

მეოთხე პარაგრაფში განხილულია აფხაზეთში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება და საქართველოს მთავრობის მცდელობები სიტუაციის გამოსასწორებლად; მეხუთე პარაგრაფში წარმოდგენილია განათლებისა და კულტურის საკითხები. შექმნილი იყო ხელსაყრელი პირობები კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობისათვის; იხსნებოდა სკოლები, ეკლესია-მონასტრები, იბეჭდებოდა გაზეთები.

დასკვნაში ასახულია კვლევის შედეგები. ხაზგასმულია, რომ 1918-1921 წლები ახალი ეტაპია ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. 26 მაისის აქტით, საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ახლად შექმნილმა სახელმწიფომ უმძიმესი მემკვიდრეობა მიიღო. ისედაც სუსტად განვითარებული მეურნეობა ეკონომიკური კრიზისის პირობებში აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია მასების სოციალური მდგომარეობის გაუარესება. ამას ემატებოდა უაღრესად მძიმე პოლიტიკური ვითარებაც - გადასაწყვეტი იყო საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ბედი, რადგან მათი ხელყოფა

ისევ გრძელდებოდა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა გახლდათ აფხაზეთის საკითხი, რომლის დაუფლებასაც ცდილობდა, ერთი მხრივ ოსმალეთი, მეორე მხრივ დენიკინი და მესამე მხრივ ბოლშევიკური რუსეთი.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ურთულეს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში შეძლო აფხაზეთში შექმნილი მეტად რთული და კრიზისული ვითარების განმუხტვა; შედეგად აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქციაში მოექცა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობას მხარს უჭერდა აფხაზური მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

ნაშრომში ხაზგასმულია ის, რომ უძველესი დროიდან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, უწყვეტად ქართულ პოლიტიკურ სივრცეს ეკუთვნოდა. ასევე წარმოჩენილია, რომ აფხაზეთის, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილის, ისტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთი დაკავშირებული იყო რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ურთიერთობებთან, მათ პოლიტიკასთან; ეს პოლიტიკა კი რეგიონში გაბატონებას

ისახავდა მიზნად. აქედან გამომდინარე ოსმალეთი ყველანაირად ცდილობდა აფხაზეთში ისლამის გავრცელებას, ხოლო რუსეთი კი ქართული ქრისტიანული კულტურის კვალს შლიდა. რეგიონში ოსმალეთისა და რუსეთის დაპირისპირება ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. მეფის რუსეთის იმპერიის პოლიტიკა მიმართული იყო აფხაზეთის ქართული პოლიტიკურ-კულტურული სამყაროსაგან მოწყვეტისაკენ. იმპერიის მთავარი მიზანი იყო შავი ზღვისპირეთის რუსული კოლონიზაცია და აფხაზი ხალხის აღრევა რუსულ მოსახლეობაში. ამისათვის ხდებოდა ანტიქართული პროპაგანდის გაღვივება და სეპარატიზმის გავრცელება.

საბოლოო ჯამში, აფხაზეთში რუსული და ოსმალური ინტერესების ბრძოლას, საქართველოს დამოუკიდებელმა და ერთიანმა სახელწმიფომ წერტილი დაუსვა.

1921 წლის კონსტიტუციის მიღებით იურიდიულად გაფორმდა აფხაზეთის საკითხი - მიენიჭა ავტონომიის სტატუსი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში. დადგა ახალი ეტაპი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში, თუმცა 1921 წლის 25 თებერვალს

განვითარებულმა მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა ვითარება. დასრულდა ქართული სახელმწიფოებრიობის პირველი, დემოკრატიული აყვავების ეპოქა; საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ კვლავ გამწვავდა პოლიტიკური, სოციალურ ეკონომიკური და რელიგიური ვითარება რეგიონში და დაიწყო ახალი, რთული ეტაპი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ავალიშვილი ზ., *საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში., მოგონებანი, ნარკვევები., პარიზი 1924წ. თბილისი 1929*;

ანდერსენი ე., „აფხაზეთი და სოჭი, კონფლიქტის ფესვები“, 2016

ანჩაბაძე გ., *ქართველები და აფხაზები, ისტორია და თანამედროვეობა.,* თბილისი 2009

აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის ავტომონიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988) პოლიტიკურ- სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი 2004;

ბენდიანაშვილი ა., *საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი; ისტორია (1918-1921) და დღევანდელობა.,* ანალები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ.

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი, თბილისი 2005;

გამახარია ჯ., *აფხაზეთი და მართლმადიდებლობა.,* თბილისი 2005;

გამახარია ჯ., ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან., თბილისი 1991;

გამბა, ჟ.ფ., მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტომი I., თბილისი 1987;

გელენავა ი., *აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან (1917-1921).,* თბილისი 2003

გიგინეიშვილი *ო., კავკასიის ფრონტი და თურქეთის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი პირველი მსოფლიო ომის დროს:* თსუ შრომები. ტომი 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II;

გოგოლაძე დერმიშა., *„აფხაზთა“ საერისთავოს დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი.,* თბილისი 1995;

გოცირიძე გ., *პირველი მსოფლიო ომი და საქართველო.,* თბილისი 2009;

გუგუშვილი პ., *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში.,* თბილისი 1984;

დამოუკიდებლობის 1028 დღე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე (1918 -1921); თბილისი 2013;

დოლიძე გ., *როგორ უნდა დაველაპარაკოთ რუს გენერლებს და პოლკოვნიკებს, ანუ რა მოხდა ქ. ეკატერინოდარში 89 წლის წინ.,* თბილისი 2007;

თოთაძე ა., *აფხაზეთის მოსახლეობა, ისტორია და თანამედროვეობა,,* თბილისი 1995;

ლომინაძე ბ., *მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის* "მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", 1954, ნაკვ. 31;

ლორთქიფანიძე მარიამ., აფხაზები და აფხაზეთი., გამომცემლობა“განათლება, თბილისი 1990;

მაზნიშვილია გ., *მოგონებანი (1917-1925).,* აჭარა 1990;

მანველიშვილი ა., *ნარკვევები და წერილები.,* სან ფრანცისკო 1990;

მაღლაკელიძე შ., *მოგონებანი: .,* „განთიადი“, ბათუმი 1991, 1;

მაღლაკელიძე შ., *მოგონებანი:* „განთიადი“, ბათუმი 1992, 2;

მენთეშაშვილი, *ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან,* თბილისი 1990;

ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან - აფხაზეთი; ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ინტელექტი, თბილისი 2007;

ნაცვლიშვილი ა., *ქართული დემოკრატიული აზრი რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში,* მეცნიერება, თბილისი 1999

ნოზაძე ვ., *საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო.,* თბილისი 1989;

პაიჭაძე დ., *საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსების პოლიტიკურ-დიპლომატიური წანამძღვრები.,* ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 7, თბილისი 2000., გვ. 50-77;

პაპასქირი ზ., *ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II.,* თბილისი 2007;

ჟორდანია ნ., *ჩემი წარსული, მოგონებანი,* თბილისი 1990;

ჟუჟუნაშვილი გ., *რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVII საუკუნის 40-იანი წლების შუახანებში.,* ქართული დიპლომატია., ტომი 2., თბილისი 1995;

როგავა გ., *რელიგია და ეკლესია აფხაზეთში.,* თბილისი 2007;

როგავა გ., *საისტორიო ეტიუდები, აფხაზები და აფხაზეთი.,* თბილისი 2009

საითიძე გ., რუსეთისა და იმერეთის სამეფოებს შორის დიპლომატიური კავშირ-ურთიერთობების დამყარების ძირითადი ფაქტორები (XVII საუკუნის 40-50-იან წლებში)., ქართული დიპლომატია., ტომი 2., თბილისი 1995;

საითიძე გ, ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (1905-1917), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2005;

სარალიძე ლ., *პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ (1914-1918).,* ისტორიისა და და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები IX., 2009;

სარალიძე ლ., *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წწ.,* სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად., თბილისი, 1994;

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში., წიგნი I., თბილისი 2016;

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში., წიგნი II., თბილისი 2016;

საყვარელიძე გ., *მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა (1918-1921 წწ),* თბილისი 1992;

სვანიძე მ., *თურქეთის ისტორია (1299-2000),* თბილისი 2007;

ყაუხჩიშვილი ს., *ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში.,* ქუთაისი 1946;

ჩაჩხიანი ა., რუსეთ-საქართველოს სამხედრო პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლებში; თბილისი 2014;

ჩიტაია დ., *აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში.*, თბილისი 2006;

ჩიტაია დ., *აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა XX საუკუნის პირველ ოცეულში.*, თბილისი 2002;

წმინდა ამბროსი ხელაია., *"მე შევასრულე ჩემი მოვალეობა" : საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 1921-27წწ.*

წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი., კრებული/შეადგინა, გამოკვლ. და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ., თბილისი 2006;

წურწუმია ზ., *აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში.,* თბილისი 2012

ჭუმბურიძე დ., *ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში (1918-1921 წლები).,* თბილისი 2003;

ხაჭაპურიძე გ. *1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში.,* თბილისი 1995

ხორავა ბ., *აფხაზეთის სამთავროს გაუქმება.*, თბილისი 2011;

ხორავა ბ., *აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა.*, **თბილისი 2014;**

ხორავა ბ., *ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს.,* თბილისი 1998;

ხოშტარია-ბროსე ე. აფხაზეთის ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბილისი 2000;

ჯავახიშვილი ნ., *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები,* თბილისი 1998;

ჯავახიშვილი ნ., *ქართული ბონისტიკა.,* თბილისი 1996;

АКАК, т.III, ч. II.

Аркомед С. Т., *Материалы по истории отпадения Закавказья от России.,* ТБ,1931;

Борьба за советскую власть в Абхазии. Сборник документов и материалов 1917–1921 / Сост. Г.А.

Бглажба, С. З. Лакоба., *История Абхазии с древнейших времен до наших дней.*, Сухум: 2007

Гамахария Д., Гогия Б., Абхазия –историческая областъ Грузии,Тб .1997

Деникин А. И., Очерки русской смуты., Воспоминания, мемуары., Минск Харвест., 2002

Дзидзария Г. А ., Очерки боръбы за советскую власть в Абхазии., Сухум, 1958

Дзидзария Г. А Очерки истории Абхазии (1910-1921)., Тбилиси — 1963

Документы и Материалы по внешней политики Закавказъя и Грузии., 1990

ИНАЛ-ИПА Ш.Д. Абхазы: Историко-этнографические очерки. — Сухуми: Абгосиздат, 1960

История дипломатии., том второй., Моск. 1929;

История Абхазской АССР (1917–1937). — Сухуми: Алашара, 1983

Лакоба С. З., *Боевики Абхазии в революции 1905—1907 годов.*, Сухуми - Алашара – 1984

Лакоба С. З., Очерки политической истории Абхазии, 1990

Марр Н. Я., Избранные работы., т. V 1935

Ментешашвили А., Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии., Тб .1998

Пипия Г.В., *Политика Германии в Закавказье в 1918 году, Сборник документов*, ТБ, 1971;

Труды Абхазского научно-исследователъского института краевовидения, Сухуми, 1934 О. Х.

პრესა:

გაზეთი „ საქართველო“, 1917, 15 თებერვალი;

გაზეთი „საქართველო“, 1918, 23 მაისი;

გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920, 26 ივნისი;

გაზეთი „ნაშე სლოვო, 1919, 22 იანვარი;

გაზეთი „ კომუნისტი“, 1990, 26 მაისი;

გაზეთი „ალიონი“, 1917, 30 ნოემბერი;

გაზეთი „ერთობა“, 1919, 29 მაისი;

გაზეთი „ერთობა“, 1918, 24 თებერვალი;

გაზეთი „ერთობა“, 1919, 18 აპრილი;

გაზეთი „ალიონი“, 1917, 30 ნოემბერი;

გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919, 20 თებერვალი;

გაზეთი „ერთობა“, 1920, 29 სექტემბერი;

გაზეთი „საქართველო“, 1918, 17 დეკემბერი;

გაზეთი „საქართველო“, 1918, 28 იანვარი;

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, 7 სექტემბერი;

გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1905, 22 აპრილი.

საარქივო მასალა:

აფხაზეთის ცსა, ფ. ი 39, აღ.-1, ს. 18, ფ. 125ა.;

აფხაზეთის ცსა, ფ-ი 39, ს. 205, ფ. 16;

აფხაზეთის ცსა, ფ.20, აღწ.. 1, ს.5, ფ.5-6

აფხაზეთის ცს.ა ფ-ი 39, აღწ. 1, ს. 11, ფ. 76

აფხაზეთის ცსა, ფ. 39, ს.12, ფ. 9, 15

აფხაზეთის ცსა, ფ. ი.39, აღ. 1, ს. 3, ფ. 7

აფხაზეთის ცსა, ფ. ი-39, აღ. 1, ს. 12. ფ. 3-4

აფხაზეთის ცსა, ფ-ი 39, აღ, ს.15. ფ.6-7

აფხაზეთის ცსა, ფ-ი 39, აღ. 1,ს. 1, ფ.2.

აფხაზეთის ცსა, ფ-ი, 39, ს.18, ფ. 191-198.

აფხაზეთის ცსა. ფ. ი. 39, აღ. I,ს. 18, ფ 260-270

აფხაზეთის ცსა, ფ-ი 39, ს.9, ფ. 43

საქართველოს ცსა, ფ. 1935, აღწ.1. საქ.54, ფ.5-6

საქართველოს ცსა, ფ. 1836, აღ. 1. 159, ფ. 2-2 ა).

საქართველოს ცსა, ფ. 1861, ს. 73, ფ.1-2.

ინტერნეტ რესურსები:

ინფორმაცია აფხაზეთში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის შესახებ: http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20160616/1018757659.html (გამოყენებულია 5/09-2017);

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიული ასპექტები., თამარ გოგოსაშვილი http://old.gruni.edu.ge/uploads/content_file_1_32.pdf (გამოყენებულია 07/09/2017)

ინფორმაცია: ХРОНИКА ОСНОВНЫХ СОБЫТИЙ В ПОЛИТИЧЕСКОЙ ЖИЗНИ АБХАЗИИ (1917-1992)

https://sites.google.com/site/voennyekonfliktyvgruzii/home/hronikaosnovnyhsobytijvpoliticeskojzizniabhazii1917-1992

(გამოყენებულია 07/09/2017)

Table of Contents

The importance and actuality of the research topic **2**

The purpose and objectives of the research topic 4

The scientific novelty of the work and the main results of the research 6

Methodology 11

Participation in conferences 12

A brief description of the dissertation 13

Used literature 23

The importance and actuality of the research topic

Nowadays, Abkhazia, the historic-geographic side of Georgia, has the status of an autonomus republic; But actually it is occupied by the armed forces of the Russian Federation. Abkhazia is being run by the puppet de-facto authorities. The independence of Abkhazia was recognized by Russia and in exchange for various deals, also by Nicaragua, Venezuela, Nauru and Syria. The actuality of the research topic also precedes to the fact that the recognition of the Independence of Abkhazia may continue, which will naturalluy lead to disastrous results. It should be mentioned, that from the XIX century, Russia had been trying to deprive Georgia of its north-

western part – Abkhazia. All of the possible methods were used to do this: promoted to stir separatism in Abkhazia and hatred between Georgians and Abkhazians, they were pursuing anti-Georgian, aggressive policy.

The actuality of the research topic to Abkhazia, is stipulated by the misinterpretation of Georgia's historical past and falsification. Based on the fraudlent history, the slogan "Abkhazia is not Georgia" has emerged in the beginning of the 20th century, with the modern Abkhazian political separatism. Several tendentious scientific works have been published (S. Lakoba , O. Bghazhba, T. Achugba, D. Dbari…) in different languages. History is still being fasfified continually, until now. In relation to all this, "activation of diplomatic corps" is in progress. Abkhazian de-facto government opens the Abkhazian cultural center in different countries (e.g. Italy). The Association "Europe – Abkhazia" is created. All of this, mentioned above, has a long-term goal – to get rid of Georgia ultimately and become a sphere of Russian space.

The purpose and objectives of the research topic

The purpose of the research topic is to study Abkhazia in 1918-19121; There are a number of scientific works on this issue, but all of them are just about separate aspects. Our goal is to show and outline the main trends from political, socio-econimic, ethnic, cultural and religious situation in Abkhazia.

Based on the main purpose of the thesis, several tasks were identified: What factors and historical processes have led to the formation of anti-Georgian (pro-Russian, pro-Ossetian) developments in Abkhazia, what was the foreing and domestic factors that contributed to Georgia's declaration of independence; Which political parties and forces existed in Abkhazia during the period of independence, which community groups were involved in the political life of Abkhazia, what was the legislative base that allowed Georgia's democratic republic to expand its jurisdiction over the territory of Abkhazia, what kind of arrangements were made by the Democratic Republic of Georgia for reviving the religious and cultural life in Abkhazia.

Based on the purpose and objectives, the research of the dissertation thesis will be built with the following hypotheses:

8. Modern Abkhazia has belonged to Georgian political and cultural space since ancient times;
9. In XVII-XVIII centuries, Abkhazia was the object of intereset of two major empires, Russia and Ottomans.
10. The policy of the Russian Empire in the relation to Abkhazia, meant the separation of the region from Georgia and integration of the Abkhazian people into the political and socio-economic space;
11. Pro-ossetian and pro-Russian forces were involved in anti-Georgian and separatist activities in Abkhazia.
12. In 1918-1921 Abkhazia was the part of the Democratic Republic of Georgia as an autonomous unit; However, Russian and Abkhazian historiography asserts the opposite.
13. In 1918 General Giorgi Mazniashvili did not occupy Abkhazia as it is said in Abkhazian and Russian historiography;
14. The main purpose of the laws and regulations adopted by the democratic government of Georgia, was the complete functioning of Abkhazia as an autonomous unit;

The scientific novelty of the work and the main results of the research:

Scientific novelty and its major outcomes are closely linked to the research subject. The works of the Georgian historiography are mainly related to individual aspects; The political, socio-economic, ethnic, cultural and religious situation in Abkhazia in 1918-1921 is shown in one main common section of the dissertation. The topic is written on the basis of archival, scientific and memoir literature works which reflects the restoration of the jurisdiction of the Republic of Georgia in Abkhazia and discharging the crisis situation in the region. New historical documents are brought into scientific circulation.

Results of the survey are:

7. Since the ancient times the territory of modern Abkhazia has been continuously owned by Georgian political space. At different times it was the part of Colchis, Lazica, Abkhazia Kingdom, Georgian Empire, Imereti Kingdom and Georgian Democratic Republic (as an autonomous unit);

8. The situation has changed since XVI century, during the political upheaval of the Georgian Kingdom, where the spread of Islam in Abkhazia and non-Georgian ethnic elements were clearly demonstrated. In the beginning of the XIX century, the Abkhazian prices were trying to enter Russia's patronage, in this case Christianity turned to be a good "bait"; By entering to the Russia's patronage, the Principality of Abkhazia was abolished and Russia began to rule.
9. Russia started to spread its own policy after the governance in Abkhazia; The colonization of the region began after slamist Abkhazians were exiled. Abkhazian alphabet was created and they started to fight against the Georgian language. Letters were continuously published by chauvinists and the rumors were spread that Georgian intended to destroy Abkhazians. The goal was to join Abkhazia to Russia and to assimilate Abkhazians with the Russian population.
10. One of the main goals of the Georgian National Council was the understanding of relations with Abkhazia and maintaining national integrity of the country. The

agreement made on February 9, 1918, had a historic significance, as the existence of autonomous Abkhazia was founded, which was subsequently strengthened by additional agreements (in October 1920, the Abkhazian People's Council approved "Regulation on Autonomous Administration of Abkhazia) and the Constitution of Georgia; Abkhazia, as an autonomous unit, was a part of the Democratic Republic of Georgia.

11. There was a difficult political situation in 1918-1919 in Abkhazia; It was necessary to protect Abkhazia not only from Bolshevik Russia, but also from Ottoman divisions and white Russian forces; In this situation, Abkhazian National Council asked for help from the Democratic Government of Georgia. Accordingly, Georgian military units did not annex Abkhazia, but they protected the region from the enemy.
12. Despite the ongoing difficult situation, the Democratic Government of Georgia was trying to create favorable conditions for Abkhazia's economic and cultural prosperity. There were attempts to enable all the levers of agricultural life of Abkhazia through local or foreign financial forces.

Georgia cared for the cultural development of Abkhazia; For example, on 27th of February, 1919, the first Abkhazian newspaper "Apsni" was released in Sokhumi. An important event in the cultural life of Abkhazia was also a drama school, opened in Sokhumi by the painter Alexander Sharvashidze in 1918 and creation of a literary-dramatic cycle in Sokhumi in 1919; At the same time, the manuscript "Tsikris Varskvlavi" was released.

Methodology:

The methodological basis of the research is general-scientific, as well as private methods: historical-comparative, systematic analysis of events, in-depth study, statistical, demographic analysis, documentary and so on. The logical analysis is mainly used in the work, however there is also presented informative-cognitive and comparative-legal aspects. The purpose of using historical-comparative method was:

3. Creating the purposeful image about historical facts, documents and their interpreters; Reconstructing and argumenting of historical facts;
4. Analysis of historical documents; Interpretation of historical facts and their authors; Evaluating the credibility of historical documents; Comparing historical concepts and facts; Formulating one's conclusions and argumenting the opinions.

Using these methods enabled us to obtain the evidence, that helped us to discuss and evaluate the hypotheses of the research topic as well as to make an appropriate conclusions.

The main theses of the work were announced at the following scientific conferences:

4. "Goals and the interests of the Russian Empire in Georgia (XVI-XVII centuries)" – VIII Annual Conference of the University of Georgia in Humanities; Tbilisi 2016

5. "Georgian Missionaries in Abkhazia" – IX Annual Conference of the University of Georgia in Humanities; Tbilisi 2017;
6. "Culture and Education in Abkhazia during the first Democratic Republic of Georgia" – Dedicated to the memory of Prof. Tamaz Beradze; X Annual Conference in Humanitarian sciences; Tbilisi 2018;

The size and the structure of the work:

The dissertation consists of introduction, five chapters and conclusion. The size of the work is 165 pages. Bibliography is attached to the work.

A brief description of the dissertation:

The introduction provides the actuality of the research topic. There is also discussed the historiography as well as the theoretical base.

A brief description of the Literature:

The work is mainly based on the both primary and secondary sources; (Documents, Archive Materials, Press, Memoirs, Scientific Literature).

Historiography: The issue of Abkhazia affected many Georgian and foreign scientists; Among them should be noted P. Ingorokva, M. Lortkifanidze, M. Khoshtaria-brose, D. Gogoladze, J. Gamakharia, Z. Papaskiri, B. Khorava, D. Chitaia, G. Gasviani, Z. Tsurtsumia, A. Chachkhiani, G. Anchabadze, E. Andersen, S. Lakoba, O. Bghazhba, T. Achugba, D. Dbari and so on.

We discussed and studied the Georgian and foreign periodal publications of that time: “Iskra”, “Unity”, “Republic of Georgia”, “Georgia”, „Public Affairs”, “Factsheet”, “Communist”, “Alioni”, "The Truth (Daily Worker's Newspaper)", "Our Words";

We used the memoirs and the recordings of those political and military figures of the First Republic of Georgia that have close ties to this issue. Memories of Georgian military personnel are worth mentioning. For example: G. Mazniashvili, Sh. Maghlakelidze, Al. Zakariadze; Also the works of the political figures of the First Republic of Georgia: D. Vachnadze, Gr. Lortkipanidze, R.

Gabashvili, V. Nozadze, Z. Avalishvili, S. Pirtskhalava, N. Zhordania and Ambrosi Khelaia. The momoirs of Anton Denikin's are also very important - "Очерки русской смуты"; These memoirs represent the struggle of the Democratic Republic of Georgia with a white-collar Russia for Abkhazia.

In the first chapter of the dissertation – "**Historical and Geographical review of Abkhazia" –** is shown the process of establishing historical borders of Modern Abkhazia; It emphasizes that this region belonged to Georgian political and cultural space since ancient times.

In the second chapter of the dissertation – "**Caucasus in the field of great empires (XVI-XVIII centuries)**" – is discussed the policy on Iran, Ottoman and Russia. Fighting for the first and spreading the spheres of influence; Establishing the Ottoman rule in the region and spreading of Islam;

In the third chapter of the dissertation – **"Abkhazia in the end of XVIII century and the beginning of XX century" –** is shown the battle between Russia and Ottoman in the Abkhazian Principal house, following the establishment of Russia in the region. The Abkhazian princes tried to enter to Russia's protection, which naturally

contradicted the Ottomans. Abkhazia with its financial and political support has led his agent Aslan Bei to fight against Russia. There is discussed a very serious political, economic and religious situation in Abkhazia: Abkhazia's entry to Russian patronage and abolishin of the capital; The process of resettlement of the part of Abkhazian population in the Ottoman Empire. Revolts against the Russian king, revolutionary speeches and manifestations.

The fourth chapter of the dissertation – "**Abkhazia during the fight for the Independence of Georgia" –** consists of three paragraphs; In the first paragraph, there is shown the international situation in the first quarter of the 20th century and the attitudes of Georgian political forces in connection with the World War I. In the second paragraph, there is discussed the fight for the Independence of Georgia; Confrontation of Ottoman-German interests and activation of Georgian diplomatic corps; In the third paragraph we can see the situation in Abkhacia in 1914-1918; Negotiations between the Abkhazian People's Council and the Georgian National Council and the agreement of the 9th February, 1918 was the first stage of solving Georgian-Abkhazian relations.

The fifth chapter of the dissertation – **"Abkhazia during the period of Georgian Democratic Republic (1918-1921) –** consists of five paragraphs. In the first paragraph, there is discussed a very difficult political situation; Even after declaring the independence of Georgia, Ottomans tried the intervention of Abkhazian forces. Although, in 1918-1919 it was necessary to protect Abkhazia not only from Ottoman, but from Bolshevik Russia and White Russians; Despite the resistance (separatism, spreading of Anti-Georgian dispose) Georgian Armed Forces managed to maintain territorial integrity of the country. In addition, the agreement made on June 11th, 1918, was very important. According to that agreement, Abkhazia, as an autonomous entity, was a part of the Democratic Republic of Georgia. It should be noted that the Government of Georgia was supported by a large part of the Abkhazian population as well ass the majority of Abkhazian People's Council members.

The second paragraph illustrates the process of elaboration of the Constitution of Abkhazia; Negotiations between Georgian Democratic Government and Abkhazian People's Council; There's also been discussed an "Act on Abkhazia's Autonomy"; Abkhazia, as an autonomous unit, was under the jurisdiction of Democratic

Republic of Georgia, which was legally enforced by the Constitution of 21st February, 1921.

The third paragraph illustrates the religious situation in Abkhazia; Restoration of Autocephaly of the Georgian Church, uniting the church and keeping the independence after the rule of Bolshevik Georgia;

The fourth paragraph examines the socio-economic situation in Abkhazia and the attempts of the Government of Georgia to address the situation;

The fifth paragraph emphasizes the issues of education and culture. Favorale conditions were created for cultural and economic growth; Schools, churches and monasteries were being opened, newspapres were printed.

The results of the survey are shown in the conclusion. It is highlighted that 1918-1921 are the years of a new stage in the history of Georgian statehood. With the Act of May 26, Georgia has restored its state independence. The newly created state has received the most complicated inheritance. Already poorly developed economy was found to be in the crisis, which led to the worsening of the social

situation. There was a very difficult political situation - The fate of the Georgian historical territories was to be resolved, as their intrusion continued. One of the most important problem was the issue of Abkhazia, which was sought to be occupied on one side by Ottoman, on the other side by Denikin and on the third side by Bolshevik Russia.

The Democratic Republic of Georgia was able to defuse the most difficult and crisis situation created in Abkhazia; As a result, Abkhazia, as an autonomous untiy, came under the jurisdiction of the Democratic Republic of Georgia. It should be noted that the Government of Georgia was supported by a large part of the Abkhazian population as well ass the majority of Abkhazian People's Council members.

The work emphasizes that since the ancient times the territory of modern Abkhazia belonged to a Georgian political space continually. There's also shown that Abkhazia, as a part of Georgia, in the important section of the history, was connected to the relations between Russia and the Ottoman Empires and their policies; This policy was aimed at prevailing in the region. Therefore, Ottoman Empire tried to spread Islam in Abkhazia and Russia was trying to

erase the culture of Georgian Christianity. The confrontation between the Ottoman Empire and Russia, ended with the victory of the latter. The policy of the Georgian Empire was aimed at cutting Abkhazia off the Georgian political and cultural world. The main goal of the empire was the Russian colonization of the Black Sea and the mix up of the Abkhazian people with the Russian population. Anti-Georgian propaganda and separatism were spread because of this.

Ultimately, Georgia's independent and united state has put an end to the Russian and Ossetian fights for interests in the region.

By the adoption of the Constitution of 1921, the issue of Abkhazia was legally signed – it was granted the status of autonomy within the Democratic Republic of Georgia. A new stage in Georgian-Abkhazian relations has emerged, although the events of the February 25th, 1921, has radically changed the situation. The epoch of the first Georgian statehood and democracy has come to an end. After the establishment of the Soviet rule, the political, social, economic and religious situation in the region continued to aggravate and a new, difficult stage in Georgian-Abkhazian relations has begun.